BOM UP

რეგისტრაციისათვის მიმართეთ **ლია ჩალათაშვილს.**

მისამართი: უნივერსიტეტის I კორპუსი, V სართული ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტი.

დედლაინი **7.03.2014**

საუნივერისტეტო არჩევითი საგნები

საგნები, რომლებიც თესაუს ყველა სტუდენტს შეუძლია აირჩიოს

საგნებს სთავაზობს ფოლქსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი

BOM UP

პასუხისმგებელი:

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი

ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ:

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერისტეტი

I კორპუსი, III სართული საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

ხათუნა აბაშიძე

ტელ: 0350 27 15 33, E-mail: spec.bomup@tesau.edu.ge

ქართული უნივერსიტეტის ქ. №1, 2200 თელავი

ან

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერისტეტი

I კორპუსი, III სართული, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

ცისია ამონაშვილი - მარკეტინგის მენეჯერი

ტელ: 0350 27 15 33, E-mail: bomupmp@tesau.edu.ge

ქართული უნივერსიტეტის ქ. №1, 2200 თელავი

No.	საგნის დასახელება	კრედიტი	ლექტორი
1.	ჯგუფური მუშაობა და კომუნიკაცია	5	სოფიო არსენიშვილი
2.	ბიზნეს გერმანული	5	ცისია ამონაშვილი
3.	ბიზნეს გეგმის შედგენა	5	ნანა რინკიაშვილი
4.	საბუღალტრო აღრიცხვა	5	ნანა რინკიაშვილი

ზემოთ ჩამოთვლილი საგნების არჩევა თესაუ-ს ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია. ეს საგნები გადის როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საფაკულტეტო საგნების რანგში. თითოეულს მინიჭებული აქვს 5 კრედიტი. სტუდენტი თავისუფალია არჩევანში. ყველა საგნის სილაბუსის სრული ვერსია შეგიძლიათ ნახოთ სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე.

თავისუფალი არჩევითი საგნების კრედიტების სავალდებულო რაოდენობაა 10-15 კრედიტი. თითოეული ეს საგანი დაფიქსირდება დიპლომის დანართში.

როგორ ხდება საგნების არჩევა:

სტუდენტებს, რომლებსაც სურთ ამ საგნების შესწავლა, უნდა დარეგისტრირდნენ ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტში ქალბატონ ლია ჩალათშვილთან, სადაც სტუდენტებმა უნდა მიაწოდონ შემდეგი ინფორმაცია:

- სახელი, გვარი
- ტელეფონის ნომერი
- ფაკულტეტი, კურსი
- არჩეული საგანის (საგნების) დასახელება

საგნების ანოტაციები
ჯგუფური მუშაობა და ეფექტური კომუნიკაცია

მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის ჯგუფური მუშაობის და ეფექტური, შედეგზე ორიენტირებული კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

ამ მიზნის მისაღწევად სტუდენტებს მიეწოდებათ როგორც საჭირო თეორიული მასალა, ასევე ისინი ჩაერთვებიან პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებაში, რასაც მოცემული კურსის შემთხვევაში განსაკუთრებით დიდი როლი ეთმობა.

ბიზნეს გერმანული

კურსის აღწერა: ამ კურსის ფარგლებში ხდება ბიზნეს გერმანულისათვის დამახასაითებელი ლექსიკის ათვისება და საჭირო ტერმინოლოგიის გამომუშავება, რასაც უზრუნველყოფს სახელმძღვანელოში მოცემული შესაბამისი ტექსტები და დავალებები. ტექსტები ამოღებულია ბიზნესპრაქტიკიდან, რის საფუძველზეც ხდება არა მხოლოდ ზოგადი ტერმინოლოგიის, არამედ კონკრეტული, ბიზნესის სხვადასხვა სფეროსთვის საჭირო ტერმინოლოგიის შესწავლა.

ტერმინოლოგია შეისწავლება პრაქტიკისა და კონკრეტული მაგალითების საფუძველზე. გრაფიკა, ცხრილები და დიაგრამები გამოიყენება შესწავლილი მასალის ცოდნის შესამოწმებლად. დამუშავებული თემების ტერმინოლოგია ახსნილია წიგნში განთავსებულ ლექსიკონში. მასალის შესწავლას უზრუნველყოფს სპეციალური სავარჯიშოები.

ბიზნეს გეგმის შედგენა

სასწავლო კურსის მიზანები– სასწავლო დისციპლინის მიზანია სტუდენტებს მისცეს სათანადო ცოდნა ბიზნეს იდეის განვითარების, ბიზნეს გეგმის არსსა და ობიექტურ აუცილებლობაზე, ასევე ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროებზე.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგი - ამ სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ გარკვეული ცოდნა ბიზნეს გარემოს, ბიზნეს იდეების გენერაციასა და ბიზნეს გეგმის შედგენის ორგანიზაციაზე.

საბუღალტრო აღრიცხვა

კურსის მიზანია სტუდენტებს გამოუმუშაოს ბუღალტრული დოკუმენტების დამუშავების პრაქტიკული უნარი და შეასწავლოს ბალანსის შედგენა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.